



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 15

განკარგულება

27/02/2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2019 წლის III- IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2019 წლის
III- IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ
ა ნ გ ა რ ი შ ი**

მოგეხსენებათ, ქვეყნის განვითარებისათვის საბიუჯეტო პროცესს ერთ-ერთი ძირითადი როლი აკისრია, ხოლო თავად ბიუჯეტი არის წლის მთავარი დოკუმენტი, რომლიდანაც ფინანსდება ის ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები, რასაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს კონკრეტული წლის განმავლობაში.

ასევე ბიუჯეტი წარმოადგენს თვითმმართველობის მიერ წინასწარ განსაზღვრულ გეგმას, თუ როგორ მოიძიოს სახსრები აღებული ვალდებულებების შესასრულებლად, რა სახის და რა რაოდენობის თანხები უნდა იქნეს ამისათვის მობილიზებული და როგორ უნდა დახარჯოს თვითმმართველობამ მობილიზებული თანხები, რა კონკრეტული ღონისძიებები უნდა დაფინანსდეს გარკვეულ პერიოდში.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ფუნქცია, საბიუჯეტო პროცესის განსახორციელებლად, იმაში მდგომარეობს, რომ სამსახურის მიერ შესაბამისობაში მოდის ერთმანეთთან პროგრამის დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო და არსებული რესურსი. მუშავდება ინფორმაცია გასული წლების, შესაბამის პერიოდში, თვითმმართველობის მიერ მოზიდულ და დახარჯულ თანხებზე და ასევე მოიპოვებს საპროგნოზო ინფორმაციას თანხების მომავალში ხარჯვასთან დაკავშირებით.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ იძებნება საუკეთესო გამოსავალი იმისათვის, რომ ისე იქნას დაბალანსებული შემოსულობები და გადასახდელები, რომ იგი იქცეს თვითმმართველობის განვითარების რეალურ შესაძლებლობად.

მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, მისი დამოუკიდებლობა გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებითა და გადასახდელების გაწევის დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობით. აღნიშნულზე დაყრდნობით საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური ახორციელებს შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ასახვას ბიუჯეტში.

აღსანიშნავია, რომ სამსახურის თანამშრომელთა საბიუჯეტო უფლებამოსილებანი ხორციელდება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით და საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ვალდებულებებისა და გადახდების შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიხედვით.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის საქმიანობა ძირითადად მიმართულებას საბიუჯეტო პროცესის განხორციელება.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური წარმოადგენილია სამი განყოფილებით: საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილება, სადაც ხდება ბიუჯეტთან დაკავშირებული ყველა ოპერაციების წარმოება, ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების ასახვა და ჩაშლა კლასიფიკაციის შესაბამის მუხლებს შორის, სახაზინო განყოფილება- რომლებიც ახორციელებენ დაზუსტებული ბიუჯეტის ფარგლებში გადასახდელების განხორციელებას და შემოსულობების აღრიცხვას სახეების მიხედვით და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილება, სადაც ხდება ყველა იმ ოპერაციის ბუღალტრული დამუშავება რომელსაც ადგილი ჰქონდა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. სამივე განყოფილება წარმოადგენილია 12 თანამშრომლით, რომელთა შორის სამუშაო ფუნქციებია გადანაწილებული და სამუშაო აღწერილობების გათვალისწინებით ხორციელდება მათი ჩართულობა სახაზინო პროგრამაში.

მოგეხსენებათ, **საბიუჯეტო პროცესი** მოიცავს ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, წარდგენას, განხილვას, დამტკიცებას, დაზუსტებას, ბიუჯეტის შესრულებას, ანგარიშგებასა და კონტროლს. აღნიშნული მოიცავს მთელ საანგარიშო წელს.

ივლისის თვეში ფინანსთა სამინისტროდან მიღებული იქნა 2020 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები. მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით საფინანსო საბიუჯეტო სამსახურმა განსაზღვრა შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლები და დაიწყო შესაბამისი პროცედურები ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესადგენათ.

ნოემბრის თვეში საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ შედგენილ იქნა ბიუჯეტის პროექტი, პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად და წარდგენილი იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოში განსახილველად. დაბრუნებული ბიუჯეტის პროექტი, შენიშვნების გათვალისწინებით განმეორებით წარდგენილ იქნა საკრებულოში. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, 2019 წლის 26 დეკემბერს მიღებულ იქნა 2020 წლის ბიუჯეტი.

საბიუჯეტო პროცესის ნაწილს წარმოადგენს დამტკიცებული ბიუჯეტში ცვლილების განხორციელება, აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში განხორცილდა 8 ცვლილება, რომელიც ასახული იქნა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამის მუხლში.

აღსანიშნავია, რომ საფინანსო საბიუჯეტო სამსახური სუბსიდირებას უწევს 11 სხვადასხვა პროფილის მქონე არასამეწარმეო იურიდიულ პირს, 10 მუნიციპალურ სამსახურს. ხელფასებით ანგარიშსწორებას ახორციელებს 182 საშტატო და 15 არა საშტატო ერთეულთან.

სახაზინო განყოფილების მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების გადასახდელების დასაფინანსებლად, მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშიდან, ფული გაიცემა ბიუჯეტების განწერის მიხედვით. საბიუჯეტო ვალდებულებების გათვალისწინებით. აღნიშნული პროცესი ყოველდღიურია.

აღსანიშნავია რომ საფინანსო საბიუჯეტო სამსახური ყოველი თვის შესრულების ანგარიშის მომზადებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ახდენს ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე, ანგარიშში ასახულია ინფორმაცია სახელმწიფო ხაზინიდან მიღებული, საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული, ბიუჯეტის შემოსულობების, თითოეული საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი მუნიციპალური ორგანიზაციის მიერ გაწეული ხარჯების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

აღნიშნულ პერიოდში მომზადდა და წარდგენილ იქნა ფინანსთა სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოში, 2019 წლის 6 თვის ანგარიში, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას ბიუჯეტის შესრულების შესახებ ნაზარდი ჯამით. მიმოხილვა ასევე მოიცავდა ინფორმაციას შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტიური მოცულობების შედარებას, შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახური პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველი ბიუჯეტის და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების სწორად აღრიცხვისათვის, გამჭვირვალობისა და ანგარიშგებისათვის. ასევე სამსახური კანონმდებლობით დადგენილი წესით ამოწმებს არასამეწარმეო იურიდიული პირებისათვის განსაზღვრული ასიგნებების ხარჯვას.

აღსანიშნავია რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსება ხდება სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით. ამიტომ ყოველდღიური საჭიროებისათვის აუცილებელი თანხები განთავსებულია ხაზინაში, ხოლო ფულადი სახსრების ნაშთი, თავისუფალი სახსრების სახით, ირიცხება კომერციულ ბანკში, დამატებითი საბიუჯეტო შემოსულობების მიღების მიზნით, რომელზედაც ხდება სარგებლის დარიცხვა, წლის განმავლობაში სამსახური ცდილობდა გამოუყენებელი თანხა არ გაჩერებულიყო ხაზინის ანგარიშზე, ამ ძალისხმევის შედეგია, რომ მუნიციპალიტეტს წლის განმავლობაში სარგებლის სახით (მიუხედავად გეგმის არ არსებობისა) მიღებული აქვს 279 092.15 ლარი. მ/შ მესამე -მეოთხე კვარტალში-150 339 ლარი.

მუნიციპალური ქონების განკარგვის საკითხების რეგულირების უზრუნველსაყოფად საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით, მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 19 ნოემბრის N31 1552 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა

„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაცია“. ანუ ინვენტარიზაცია ჩაუტარდა 42 190 991 ლარის ქონებას, თითოეულ ქონებაზე, დასახელებების მიხედვით გახსნილია საინვენტარო ბარათი და ყოველი წლის ბოლოსათვის ხდება ცვეთის დარიცხვა. მუნიციპალიტეტში დასაქმებულ თითოეულ თანამშრომელზე გახსნილია პირადი ბარათი. განყოფილების მიერ ხორციელდება მუნიციპალიტეტში დასაქმებულ თანამშრომლებზე დაქვითული სამემოსავლოს გადასახადისა და განაცემთა ინფორმაციის დეკლარირება. სტატისტიკური ანგარიშების შედგენა და წარდგენა სახელმწიფო სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში. საბუღალტრო განყოფილების მიერ ხორციელდება მომუშავეთა შრომის ანაზღაურების და სხვა გასაცემლების (ბიულეტენი, მივლინება) გამოანგარიშება და აღრიცხვა.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის თანამშრომლებთან მიერ, საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე დაცულია შემდეგი პრინციპები:

ა) **ყოვლისმომცველობა** ანუ ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტში.

ბ) **გამჭვირვალობა** -ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირისათვის.

გ) **ანგარიშვალდებულება**- ანუ საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის პასუხისმგებლობა მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარდგენილ ინფორმაციაზე.

დ) **დამოუკიდებლობა**-ადგილობრივი ბიუჯეტის დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს საკუთარი შემოსულობები და ნაშთი. აგრეთვე საკუთარი გადასახდელების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება.

ე) **ერთიანობა**- ადგილობრივი ხელისუფლების მიერ აღრიცხვის ერთიანი სისტემით სარგებლობა.

ვ) **კონსოლიდირება**- ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის სისტემაში მოქცევა.

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მიერ ხორციელდება ინფორმაციის მომზადება და მიწოდება ყველა შემოსული მოთხოვნის საპასუხოდ.

პაატა ახალაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო